

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2021

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ძირითადი ინფორმაცია	7
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	7
3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
6. მარაგები	15
7. ძირითადი საშუალებები	16
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
9. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	17
10. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი	17
11. საწესდებო კაპიტალი	18
12. ამონაგები	18
13. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	18
14. საწარმოო ხარჯები	18
15. მიწოდების ხარჯები	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17. ფინანსური ხარჯები	19
18. მოგების გადასახადის ხარჯი	19
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	20
20. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები	20
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	21

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45 783	162 746	4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32 058	54 827	5
მარაგები	34 181	36 896	6
სხვა აქტივები	5 395	8 975	
სულ მიმდინარე აქტივები	117 417	263 444	
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2 548 841	2 716 340	7
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 548 841	2 716 340	
სულ აქტივები	2 666 258	2 979 784	
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	151 731	159 184	8
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	84 519	170 005	9
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	17 538	133 155	10
გადასახდელი პროცენტები	27 934	-	10
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	9 597	15 380	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 657	4 231	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	292 977	481 956	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	600 299	482 397	10
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	19 822	19 822	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	620 121	502 218	
სულ ვალდებულებები	913 097	984 174	
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1 363 942	1 363 942	11
გაუნაწილებელი მოგება	389 219	631 668	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 753 161	1 995 610	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 666 258	2 979 784	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020	2019	შენიშვნა
ამონაგები	283 024	2 204 077	12
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	(45 135)	(214 939)	13
საერთო მოგება	237 889	1 989 138	
საწარმოო ხარჯები	(401 663)	(1 147 951)	14
მიწოდების ხარჯები	(11 820)	(135 428)	15
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(19 778)	(168 541)	16
ფინანსური ხარჯები	(75 246)	(74 776)	17
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(484)	1 751	
არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	40 880	(3 138)	
მოგება დაბეგვრამდე	(230 222)	461 055	
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 834)	(41 607)	18
მოგება დაბეგვრის შემდეგ	(232 056)	419 449	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება	(232 056)	419 449	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	1 363 942	447 991	1 811 933
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	419 449	419 449
განაწილებული დივიდენდი	-	(235 772)	(235 772)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	1 363 942	631 668	1 995 610
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(232 056)	(232 056)
განაწილებული დივიდენდი	-	(10 393)	(10 393)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	1 363 942	389 219	1 753 161

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(65 120)	613 156
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 611)	(178 913)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(46 767)	(381 351)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(117 498)	52 892
სავალუტო კურსის ეფექტი	534	2 265
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	162 746	107 589
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	45 783	162 746

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „Citrus“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2013 წლის 16 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404991023. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ჭავჭავაძის გამზ., N7-7ა/ ატენის ქ., N18 -ის მიმდებარედ, ბინა N19, X (მანსარდის) სართული (დუპლექსი).

კომპანიის დირექტორია შალვა ალავერდაშვილი (პ.ნ. 31001000693).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროსა და მასში განთავსებული რესტორნის მართვა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიის სავაჭრო ნიშანია „ციტრუსი“.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა #3.

კომპანიის ერთპიროვნული 100%-იანი წილის მფლობელია რეზიდენტი ფიზიკური პირი - ნანა ნაჭყებია (62001002471, რუსეთი, საქართველო).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2017 და 2018 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი / 1 USD	3.2766	2.8677
ლარი / 1 EUR	4.0233	3.2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს. არასაოპერაციო მოგება/ზარალი შედგება ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ

ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავლებისა და ხარჯებისგან.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგების (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობის) და მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

შენობა-ნაგებობები	- 25 წელი
ელექტრონული მოწყობილობები	- 5-10 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 4-5 წელი
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	- 4-5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 6,67 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დასრულების მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დასრულების დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

მ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში	21 645	51 663
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	24 138	111 083
სულ	45 783	162 746

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12 502	33 707
გადახდილი ავანსები	10 100	14 031
სხვა მოთხოვნები	9 455	7 088
სულ	32 058	54 827

6. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
საკვები პროდუქტები	20 979	21 445
ჰიგიენური საქონელი	12 847	13 587
სხვა მარაგები	293	1 140
საწვავ-საცხები მასალები	62	724
სულ	34 181	36 896

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ელექტრონული მოწყობილობები	კომპიუტერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	272 686	2 741 993	151 493	29 234	468 921	118 996	68 928	17 879	3 870 130
შემოსვლა	-	-	-	-	5 611	-	-	-	5 611
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	272 686	2 741 993	151 493	29 234	474 532	118 996	68 928	17 879	3 875 741
დაგროვილი ცვეთა	-	(518 710)	(101 976)	(26 836)	(435 674)	(43 595)	(16 606)	(10 394)	(1 153 790)
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	-	(109 680)	(17 665)	(2 374)	(17 408)	(17 707)	(6 893)	(1 383)	(173 110)
ცვეთის ხარჯი	-	(628 390)	(119 640)	(29 210)	(453 082)	(61 302)	(23 499)	(11 777)	(1 326 900)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(628 390)	(119 640)	(29 210)	(453 082)	(61 302)	(23 499)	(11 777)	(1 326 900)
წმინდა საბალანსო ღირებულება	272 686	2 223 283	49 517	2 398	33 248	75 401	52 321	7 485	2 716 340
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	272 686	2 113 603	31 853	24	21 450	57 694	45 429	6 102	2 548 841
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	272 686	2 113 603	31 853	24	21 450	57 694	45 429	6 102	2 548 841

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ელექტრონული მოწყობილობები	კომპიუტერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	272 686	2 741 993	144 258	29 234	443 626	41 541	-	17 879	3 691 218
შემოსვლა	-	-	7 235	-	25 295	77 455	68 928	-	178 913
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	272 686	2 741 993	151 493	29 234	468 921	118 996	68 928	17 879	3 870 130
დაგროვილი ცვეთა	-	(409 031)	(77 072)	(20 989)	(391 161)	(25 264)	-	(8 828)	(932 344)
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	-	(109 680)	(24 904)	(5 847)	(44 513)	(18 330)	(16 606)	(1 566)	(221 446)
ცვეთის ხარჯი	-	(518 710)	(101 976)	(26 836)	(435 674)	(43 595)	(16 606)	(10 394)	(1 153 790)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	(518 710)	(101 976)	(26 836)	(435 674)	(43 595)	(16 606)	(10 394)	(1 153 790)
წმინდა საბალანსო ღირებულება	272 686	2 332 962	67 187	8 245	52 465	16 277	-	9 050	2 758 873
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	272 686	2 223 283	49 517	2 398	33 248	75 401	52 321	7 485	2 716 340
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	272 686	2 223 283	49 517	2 398	33 248	75 401	52 321	7 485	2 716 340

8. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	126 665	105 147
მიღებული ავანსები	25 066	54 038
სულ	151 731	159 184

9. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ოთხი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი და მოგების გადასახადები.

	31.12.2020	31.12.2019
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	(2 552)	-
მომდევნო პერიოდებში დადგენილი ან დასადასტურებელი ან დასადასტურებელი		
თანხები	(1 353)	42 561
არაღიარებული თანხები	88 424	127 444
სულ	84 519	170 005

10. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი

	31.12.2020	31.12.2019
საქართველოს ბანკი	123 491	118 197
თიბისი ბანკი	522 281	497 355
სულ	645 772	615 551

კომპანიას მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან - სს „საქართველოს ბანკი“ და სს „თიბისი ბანკი“.

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,363,942 ლარს და შევსებულია არაფულადი ფორმით. საწესდებო კაპიტალში კომპანიის პარტნიორის მიერ შეტანილია მიწა და შენობა.

12. ამონაგები

	2020	2019
რეალიზაცია 0%-იანი დღგ-ით	186	68 760
რეალიზაცია 18%-იანი დღგ-ით	282 838	2 135 317
სულ	283 024	2 204 077

13. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება გახარჯული საკვები პროდუქტების, ჰიგიენური საქონლისა და სხვა მასალების თვითღირებულებისგან.

14. საწარმოო ხარჯები

	2020	2019
პირდაპირი ხელფასი	(103 014)	(600 376)
იჯარის ხარჯები	(55 306)	(94 008)
ელექტროენერგიის ხარჯები	(30 582)	(74 368)
გაზი, წყალი, დასუფთავება	(7 534)	(23 919)
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	(10 479)	(53 465)
სამეურნეო ხარჯები	(153)	(2 803)
საწარმოო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(6 533)	(1 877)
საწვავის ხარჯები	(5 221)	(15 614)
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები გარდა საწვავისა	(466)	(4 427)
არაპირდაპირი ხელფასი / თვითღირებულებაზე	(65)	(6 831)
დაცვის ხარჯები	(1 373)	(1 429)
საწარმოო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	(171 727)	(219 880)
საწარმოო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	(1 261)	(1 444)
საბანკო ხარჯები ტერმინალებიდან	(2 129)	(18 908)
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	(259)	(14 988)
სხვა საწარმოო ხარჯები	(5 562)	(13 613)
სულ	(401 663)	(1 147 951)

15. მიწოდების ხარჯები

	2020	2019
რეკლამის ხარჯები	-	(401)
მარკეტინგული ხარჯები	(11 820)	(134 942)
მიწოდების სხვა ხარჯები	-	(85)
სულ	(11 820)	(135 428)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასი	(29 523)	(95 653)
საკანცელარიო ხარჯები	-	(931)
კომპიუტერის ხარჯები	(237)	(1 075)
კომუნიკაციის ხარჯები	(4 595)	(18 532)
დაზღვევის ხარჯები	(1 168)	-
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(6 613)	(28 400)
იურიდიული მომსახურების ხარჯები	-	(3 000)
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	(122)	(122)
საგადასახადო ხარჯები	24 222	(13 572)
საბანკო ხარჯები	(1 273)	(3 429)
სხვა ხარჯები	(469)	(3 827)
სულ	(19 778)	(168 541)

17. ფინანსური ხარჯები

ფინანსურ ხარჯებს წარმოადგენს კომერციული ბანკებისგან მიღებულ სესხებზე და სალიზინგო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტები.

	2020	2019
საქართველოს ბანკი	(13 961)	(18 738)
თიბისი ბანკი	(56 026)	(50 022)
თიბისი ლიზინგი	(5 259)	(6 016)
სულ	(75 246)	(74 776)

18. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის ხარჯი წარმოეშვა პარტნიორისათვის განაწილებული დივიდენდებიდან გამომდინარე.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	31.12.2020	31.12.2019	2020 წელი	2019 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	(21 480)	(72 039)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	31.12.2020	31.12.2019	2020 წელი	2019 წელი
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	35 765	7 169		
ოჯარის ხარჯები			(55 205)	(93 169)

20. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა საქმიანობა, მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავლები საანგარიშგებო პერიოდში. ამჟამად კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და ხემძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი

შპს „Citrus“

განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას გააჩნია ერთი მიმდინარე სასამართლო დავა. კომპანია ასაჩივრებს საგადასახადო შემოწმების შედეგებს. 2019 წელს დასრულდა კომპანიის 01.01.2014-01.01.2017 პერიოდის გეგმური საგადასახადო შემოწმება. სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, დარიცხული იყო დამატებითი გადასახადები 98,714 ლარის ოდენობით (მათ შორის - ქონების გადასახადი 109,528 ლარი, შემცირება სხვა გადასახადებში - 10,814 ლარი). კომპანია ითხოვს ქონების გადასახადის გადაანგარიშებას და მის შემცირებას 25,038 ლარით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45 783	162 746	4
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	32 058	54 827	5
მარაგები	34 181	36 896	6
სხვა აქტივები	5 395	8 975	
სულ მიმდინარე აქტივები	117 417	263 444	
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2 548 841	2 716 340	7
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 548 841	2 716 340	
სულ აქტივები	2 666 258	2 979 784	
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	151 731	159 184	8
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	84 519	170 005	9
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	17 538	133 155	10
გადასახდელი პროცენტები	27 934	-	10
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	9 597	15 380	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 657	4 231	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	292 977	481 956	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	600 299	482 397	10
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	19 822	19 822	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	620 121	502 218	
სულ ვალდებულებები	913 097	984 174	
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1 363 942	1 363 942	11
გაუნაწილებელი მოგება	389 219	631 668	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 753 161	1 995 610	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 666 258	2 979 784	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020	2019	შენიშვნა
ამონაგები	283 024	2 204 077	12
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	(45 135)	(214 939)	13
საერთო მოგება	237 889	1 989 138	
საწარმოო ხარჯები	(401 663)	(1 147 951)	14
მიწოდების ხარჯები	(11 820)	(135 428)	15
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(19 778)	(168 541)	16
ფინანსური ხარჯები	(75 246)	(74 776)	17
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(484)	1 751	
არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	40 880	(3 138)	
მოგება დაზღვევამდე	(230 222)	461 055	
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 834)	(41 607)	18
მოგება დაზღვევის შემდეგ	(232 056)	419 449	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება	(232 056)	419 449	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუქმებული მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	1 363 942	447 991	1 811 933
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	419 449	419 449
განაწილებული დივიდენდი	-	(235 772)	(235 772)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	1 363 942	631 668	1 995 610
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(232 056)	(232 056)
განაწილებული დივიდენდი	-	(10 393)	(10 393)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	1 363 942	389 219	1 753 161

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი  შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „Citrus“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(65 120)	613 156
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 611)	(178 913)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(46 767)	(381 351)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(117 498)	52 892
სავალუტო კურსის ეფექტი	534	2 265
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	162 746	107 589
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	45 783	162 746

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი  შალვა ალავერდაშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.